



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49210853

თარიღი:26/03/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 14**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის**

**(საკრებულოს თავმჯდომარე) სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით, სამსახურებრივი ავტომანქანის გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს (საკრებულოს თავმჯდომარე) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით უფლება აქვთ გამოიყენოს სამსახურებრივი ავტომანქანა, რისთვისაც გამოყოფილი იქნება საწვავი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-16 მუხლის მე-3 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. განისაზღვროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის (საკრებულოს თავმჯდომარე) სამსახურებრივი ავტომანქანის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ყოველთვიური ხარჯვის ლიმიტი 600 ლიტრის ოდენობით ( MERCEDES BENZ E-240 , ს/ნ WDB2100611A668673).
2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა (საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე) მიერ სამსახურებრივი ავტომანქანის, ასევე ავტომანქანის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 თებერვლის №36/ 16 განკარგულება.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

